

გენდერი და სათამაშო

სოფიო კვერნაძე

კლასი: V

საგანი: ინგლისური ენა

სასწავლო მიზანი:

- მოსწავლეები შეძლებენ გაანალიზონ თუ როგორ განამტკიცებს მედია გენდერულ სტერეოტიპებს. დაფიქრდებიან გენდერულად ნეიტრალური სათამაშოს გამოყენების სარგებლობაზე.
- მოსწავლეები იმსჯელებენ და გაანალიზებენ თუ საიდან მოდის გენდერული სტერეოტიპები და რა გავლენა აქვს მათ საზოგადოებაზე.
- მოსწავლეები შეძლებენ რეკომენდაციების შემუშავებას და მათ წერილობით დასაბუთებას.
- მოსწავლეები გაეცნობიან ცნებას „გენდერულად ნეიტრალური“.
- მოსწავლეები შეძლებენ ინგლისურად არგუმენტირებას როგორც ზეპირსიტყვიერად ასევე წერილობით.
- მოსწავლეები შეძლებენ გააფართოვონ სიტყვატა მარაგი.

მედიაწიგნიერების მიზანი

- მედია რესურსის გაანალიზება და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.
- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება.
- კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება

ესგ-სთან შესაბამისობა

უცხ.დ.V.4. მოსწავლეს შეუძლია შინაარსის გასაგებად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

უცხ.დ.V.10. მოსწავლეს შეუძლია ღია ბარათის, პირადი (ელექტრონული) წერილის მარტივი ენით დაწერა.

უცხ.დ.V.11. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის შექმნა.

უცხ.დ.V.12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის სტრუქტურის დაცვა, გამომუშავებული აქვს ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევები და შეუძლია მათი გამოყენება.

უცხ.დ.V.14. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს მეტყველები-სათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

უცხ.დ.V.15. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

უცხ.დ.V.16. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად მეტყველება.

უცხ.დ.V.17. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევები და შეუძლია მათი გამოყენება.

უცხ.დ.V.27. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელებთან, ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა.

გამოყენებული აქტივობები

- ✚ გონებრივი იერიში
- ✚ წყვილური მუშაობა
- ✚ ჯგუფური მუშაობა
- ✚ დისკუსია

გამოყენებული რესურსები:

- ✚ კომპიუტერი
- ✚ პროექტორი
- ✚ პრეზენტაცია
- ✚ ვიდეოფილმები
- ✚ სამუშაო ფურცლები

აქტივობა - 1

მასწავლებელი ამბობს: „დახუჭეთ თვალები. წარმოიდგინეთ, რომ ხართ პატარა ბავშვები. ერთ დღეს მშობლებმა წაგიყვანეს სათამაშოების მაღაზიაში სათამაშოს საყიდლად. შედიხართ მაღაზიაში, რა სათამაშოებს ხედავთ? არის თუ არა იქ გოგოების და ბიჭების სექცია? როგორ ხვდები რომელი სექცია რომლისაა? პირველად რომელ სექციაში წახვალ? რა სათამაშო

აარჩიე?“ (ბავშვები კითხვებზე პასუხს ხმამაღლა არ სცემენ, თავისთვის ფიქრობენ თვალდახუჭული.)

გაახილეთ თვალები. შეხედეთ ეკრანს სადაც მოცემულია ჩემს მიერ დასმული იგივე კითხვები (იხ. პრეზენტაცია სლაიდი#1). პასუხები ერთმანეთს გაუზიარეთ (მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში ან ჯგუფებში).

კითხვა	სავარაუდო პასუხები
What kinds of toys do you see?	A Ball, a doll, a set of toy blocks, Lego, cars, kite, monopoly, play-doh, dollhouse, army men, a train, a plane, a hula hoop, tea sets ...
Is there a section that is supposed to be for boys? Is there a section that is supposed to be for girls? How do you know?	Yes, I see a section for boys/girls. The section of girls is pink; The section for boys is blue. Or, I see lots of cars and this is a section for boys. I see a lot of dolls and obviously that's a section for girls.
What section do you like to go to first?	I choose pink section/blue section./ I go to the section for girls/section for boys.
What toy have you chosen?	I've chosen a ball/a doll/a car...

აქტივობა - 2

მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს: <https://www.youtube.com/watch?v=Zgdj5FXOOp8>

ვიდეოში წარმდგენილია სათამაშო ქვიშის - "Moonsand" რეკლამა. რეკლამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ბავშვები. ერთსა და იმავე პროდუქტზე გაკეთებულია ორი რეკლამა: ბიჭებისთვის და გოგონებისთვის. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან შემდეგი მახასიათებლებით: ფერები, მუსიკა, ხმის ტონი, მთხრობელის სქესი, შემოთავაზებული თამაშები (მაგალითად, პირველ რეკლამაში წარმოდგენილია კონსტრუქციების შენება და ნგრევა; მეორეში - გამოძერწვა.), აქსესუარები (მაგალითად პირველ რეკლამაში გამოყენებულია სატვირთო მანქანები, მეორეში - სირინოზები და პრინცესები).

უცხო სიტყვები

<p><i>Media / მედია</i></p>	<p>მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი.</p>
<p><i>Gender stereotype / გენდერული სტერეოტიპი</i></p>	<p>გაბატონებული შეხედულება ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებისა და როლების შესახებ; ანუ, როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან მამაკაცი ამა, თუ იმ საზოგადოებაში. ტერმინის უკეთ გასაგებად მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს ვიდეო, რომელიც კარგად ხსნის გოგონებისა და ბიჭების გენდერულ სტერეოტიპებს და როლებს. https://www.youtube.com/watch?v=pF1j22x-yU8</p>
<p><i>Gender neutral / გენდერულად ნეიტრალური</i></p>	<p>შესაბამისი და შესაფერისი ორივე სქესისათვის. არ გულისხმობს და მიუთითებს მხოლოდ ერთ სქესზე.</p>

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

კითხვები	სავარაუდო პასუხები
<p>What is the objective of the commercial?</p>	<p>To sell product.</p>
<p>What product is the commercial trying to sell?</p>	<p>“Moonsand”</p>
<p>Who is the audience for the product the commercial tries to sell?</p>	<p>Children.</p>
<p>How these two commercials for the same product differ from each other? (Students note down their answers.)</p>	<p>Ss should be very specific here, considering gender, age etc. First one is for boys and the other one is for girls. The age group is 5-9.</p>

How do you know?

It's very easy. They differ from each other by colour, voice, toys/accessories. The first commercial is for boys, because we can see trucks, building and knocking things down, colours are mostly grey and orange; We hear man's voice.


The second commercial is for girls because we can see mermaids, molding shapes, princesses; colours are mostly pink. We hear woman's voice.

Why the advertiser does two different commercials for one product?

To reach each gender.

How does the commercial author get ideas about what boys vs. girls are "supposed" to like and play with?

It is something that we all learn from our parents or society. What we know is that a boy or a girl enjoys playing certain games or doing certain activities. We know that it doesn't fit into gender norms when a little boy chooses a doll over a truck or a little girl opts for cowboys over princesses. We all know how girls/boys are supposed to behave; what they are supposed to like/dislike; how they are supposed to look, think and feel; what they are supposed to be good at. And the Commercial authors are the parts of our society. They know these things very well.



<p>Do you think there should be a boy toy and girl toy? Give reasoning. Why is it important boys and girls feel comfortable with all the toys they would like to play?</p>	<p>Yes, there should be. When children grow up they have to become the members of the society where everybody (men/women) has their roles. They start learning taking their gender roles from their childhood. Toys focused on role play allow them to practice social skills.</p>
--	--

აქტივობა - 3

დისკუსია თემაზე - „უნდა იყოს თუ არა სათამაშოები გენდერულად დიფერენცირებული?“
მასწავლებელი საუბრობს:

ბავშვები ვითარდებიან და სამყაროს შეიცნობენ თამაშით და სათამაშოთი. ისინი სათამაშოთი იღებენ სხვადასხვა გამოცდილებებს. თუ სათამაშოებს გადავხედავთ რომელიმე ოჯახში, მაშინვე შეგვიძლია გამოვიცნოთ ის ბიჭია თუ გოგო. სინამდვილეში არ არსებობს ბიჭის და გოგოს სათამაშო. ორივეს ერთნაირად შეუძლია გაერთოს ჯარისკაცით, თოჯინით, ლეგოთი, რბილი სათამაშოებით. რატომ უნდა იყოს ეს გამოცდილება შეზღუდული? მაგალითად, როგორც რეკლამაში ვიხილეთ სათამაშოები, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობასთან აღნიშნულია, რომ ბიჭებისთვისაა; სათამაშოები, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნებასთან და ძერწვასთან - გოგონებისთვის.

გოგონებს და ბიჭებს ერთნაირად უნდა მიეცეთ შანსი განვითარდნენ ყველა სფეროში რაშიც მათ ეხმარებათ სათამაშოები და თამაში. თუმცა ბევრი სათამაშოების მაღაზია მათ ყოფს ბიჭების და გოგონების სექციებად.

ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც უამრავი გენდერული სტერეოტიპი არსებობს. (მოსწავლეებმა შესაძლოა არ იცოდნენ სიტყვა „სტერეოტიპის“ მნიშვნელობა და ამიტომ საჭიროა განმარტება. შეუძლიათ ჩამოთვალონ სტერეოტიპები). სათამაშოების კომპანიაც ამ საზოგადოების ნაწილია, რომლებიც სტრეორიპებს განამტკიცებენ (Gender based marketing reinforce gender stereotypes.)

თუ ბავშვების უნარების განვითარების შესაძლებლობებში უთანასწორობა იქნება, ეს გამოიწვევს უთანასწორობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბავშვები არ იბადებიან თანდაყოლილი აზრით, თუ რომელი უნარები უნდა განვივითარონ. საზოგადოება ასწავლის

მათ სტერეოტიპებით და საზოგადოება თავად განამტკიცებს მათ, რაც იწვევს (სხვადასხვა სქესის) ბავშვების ამა თუ იმ უნარების განვითარებაში შეზღუდვას. საზოგადოება ასწავლის მათ, რომ ბიჭები უფრო კარგად სწავლობენ მათემატიკას და გოგონებს კარგად გამოსდით საოჯახო საქმე. სინამდვილეში ბიჭსაც შეუძლია კარგად გააკეთოს საოჯახო საქმე თუ მას სტერეოტიპებისგან თავისუფალს აღვზრდით. ასე, რომ არ უნდა დავაწესოთ შეზღუდვები სათამაშოებზე. სათამაშო შესაძლებელია იყოს გენდერულად ნეიტრალური (ავუხსნათ ტერმინი Gender neutral), რაც უფრო მეტად ეფექტიანი იქნება ყველა სქესის ბავშვთა უნარების განვითარებისთვის (Gender Neutral Toys).

როდესაც ვსაუბრობთ გენდერულად ნეიტრალური სათამაშოების არსებობაზე, ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ავკრძალოთ მაგალითად ბარბის თოჯინები, არამედ ბავშვების საყვარელი სათამაშოების ორგანიზება მოხდეს თემების და ფუნქციის მიხედვით.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის მასწავლებელი ბავშვებს აყურებინებს ვიდეოს, სადაც ახსნილია თუ რატომ არის პრობლემა სათამაშოების გენდერულად სეგრეგაცია: <https://www.youtube.com/watch?v=-9 uvButOYI>

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ წარმოგიდგენიათ გენდერულად ნეიტრალური სათამაშო. საჭიროა თუ არა მისი არსებობა? რა წვლილი შეგიძლიათ თქვენ შეიტანოთ ამ საკითხის მოგვარებაში? თუ შეიძლება დასახელეთ კონკრეტული ნაბიჯები, რეკომენდაციები თუ რას როგორ შეცვლიდით. ვიმსჯელოთ ზოგადად სათამაშოებზე და გაკვეთილზე განხილულ რეკლამაზე. (მასწავლებელი ცხრილში მოცემულ კითხვებს აჩვენებს პროექტორზე. იხ. მე-2 სლაიდი.)

კითხვა	პასუხი
Should toys be gender neutral or segregated along gender lines?	I believe toys should be gender neutral. I'll share my experience about this issue. My friend (a boy) wants to be a prestigious clothes designer and he draws and makes patterns for the girl and boy dolls. I always had an idea to buy dolls for his birthday present. But it's impossible to find dolls without labeling "for girls". Frankly speaking, I've never thought about this issue beyond. Even

	<p>I could not understand clearly that there was a problem somewhere. I thought it was me and my choice labeling or not labeling the toys. I knew the opinion of our society that for example a boy playing with dolls is not perceived as a normal child.</p> <p>Toy stores make decisions what I have to buy, not me. Now I see where the problem is and how to change the situation for the better. I clearly see the necessity and utility of existence of gender neutral toys.</p>
<p>What should companies do to make toys that all kids feel comfortable playing with? Describe concrete steps of making changes.</p>	<p>The companies and toy stores should remove sections for boys and girls. Using different colors of packaging can help with that. They should ban gender based labeling of packaging as well. We have to inform the companies and give recommendations. We can write a letter addressed to the maker of the toys.</p>

მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს:


მარტივი წარმოსადგენია გენდერულად ნეიტრალური სათამაშო. უბრალოდ საჭიროა შეიცვალოს ფერები და არ იყოს მაგალითად, ცისფერ შეფუთვაში წარმოდგენილი სათამაშო ბიჭებისთვის და ვარდისფერ შეფუთვაში წარმოდგენილი სათამაშო გოგონებისთვის. ამ შემთხვევაში გაცილებით მარტივი იქნება სათამაშოს არჩევაც. მაგალითად, შესაძლოა ბიჭს სურს გამოვიდეს შეფ-მზარეული და დაბადების დღის საჩუქრად გვინდა ვაჩუქოთ ტაფა ან გაზქურა. თუ ამ ნივთებს „გოგონებისთვის“ „იარლიყი“ ექნება მიკრული, დისკომფორტი იქნება მათი შემენა როგორც მყიდველისთვის ასევე იმ ადამიანისთვის, ვისაც ვჩუქნით. სასურველია მაღაზიებში არ დაიყოს სათამაშოები გოგოს და ბიჭის სექციებად.

ერთსა და იმავე სათამაშოზე შესაძლოა არ მომზადდეს ორი სარეკლამო რგოლი. ის აქსესუარები და ფერები რაც ჩვენს მიერ განხილულ ვიდეოშია გამოყენებული, შესაძლებელია ერთ რეკლამაში გაერთიანდეს.

აქტივობა - 4

მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენ როგორ შეგიძლიათ შეცვალოთ სიტუაცია ამ მხრივ და რა ზომებს მიიღებდით?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე მისწერონ სათამაშოების კომპანიას ფორმალური წერილი სადაც ისინი ახსნიან თუ რა აღმოაჩინეს და ისწავლეს მედია პროდუქტის გაანალიზებისას. ისინი მისწერენ რეკომენდაციებს გენდერულად ნეიტრალური სათამაშოებისა და რეკლამების შექმნის შესახებ. (მაგალითად, მათ არ სურთ, სათამაშოს შეცვლა. მათი სურვილია სათამაშოები დაახარისხონ ფუნქციის მიხედვით და არა გენდერის მიხედვით.) სათამაშო უნდა იყოს სათამაშო, ყოველგვარი გენდერული იარლიყების გარეშე.



.....

.....

.....

.....

.....

.....




.....

.....

მოსწავლეები კითხულობენ საკუთარ წერილებს და მასწავლებელი მოსწავლეთა წერილებს კინძავს ერთ წიგნად, რომელსაც უკეთებს საერთო ყდას და აძლევს წიგნის ფორმას. სასურველია მოსწავლეებმა მოხატონ ამ წიგნის ყდა და ისე შეინახონ ეს ხელთნაკეთი წიგნი საკლასო ოთახის საბიბლიოთეკო ზონაში.

აქტივობა -5

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ სქემა

ვიცი	გავიგე	მინდა ვიცი
		

To:

Subject:

Dear Sir or Madam,

I'm writing on the subject of (purpose of the letter)

Firstly, I would advise you (write about gender desegregation of the toys)


Secondly, I recommend that (write about the commercial)

Finally,

Closing remarks: (ex: I trust you will accept this advice/I assume you will replace)

With best wishes/regards/yours sincerely/your faithfully,

Your name



აქტივობა -6

<https://www.youtube.com/watch?v=-CU040Hqbas#t=43>

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ვიდეოს, სადაც 5 წლის გოგონა გამოთქვამს თავის აზრს გენდერულად დიფერენცირებულ სათამაშოებზე. ვიდეოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას, ეთანხმებიან თუ არა გოგონას და ასაბუთებენ თავიანთ აზრს ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში.

წერიტი დავალება (ფორმალური წერილი/იმეილი)

კრიტერიუმების ბადე	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0-1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0-1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოსცემს აზრს, რომელიც ორგანიზებულია აბზაცებად	0-1
ტექსტის ორგანიზება	
იცავს კორესპონდენციის ფორმალურ მხარეს (<i>მიმართვისა და გამომშვიდობების ფორმულებს, ხელმოწერას, მისამართს, თარიღს</i>)	0-1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
იყენებს დროის გამომხატველ შესატყვის გრამატიკულ კონსტრუქციებს, ფორმებს	0-2
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0-2
იყენებს შესაბამის ფორმალურ/არაფორმალურ ლექსიკას და გრამატიკულ ფორმებს	0-2

გამოყენებული რესურსები

<http://www.everydayfamily.com/gender-toys-does-it-really-matter/>

<http://www.theatlantic.com/business/archive/2014/12/toys-are-more-divided-by-gender-now-than-they-were-50-years-ago/383556/>

http://www.huffingtonpost.com/jill-topol/the-gender-bias-world-of-toys_b_6370416.html

<http://mediasmarts.ca/digital-media-literacy/media-issues/marketing-consumerism/how-marketers-target-kids>

<http://www.lettoysbetoys.org.uk/why-it-matters/>

https://www.youtube.com/watch?v=-9_uvButOYI

<https://www.youtube.com/watch?v=pF1j22x-yU8>

http://mediasmarts.ca/sites/mediasmarts/files/pdfs/lesson-plan/Lesson_Exposing_Gender_Stereotypes.pdf

<http://www.tolerance.org/supplement/think-outside-box-grades-3-5>

